



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერისთავი დიმიტრი კონსტანტინეს ძე

ერისთავი დიმიტრი კონსტანტინეს ძე [9. II. 1859, სოფ. გორაბერეჟოული, ოზურგეთის მაზრა (ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), – 17. XII. 1924, ოზურგეთი], მწერალი, მთარგმნელი, ექიმი (თერაპევტი, ქირურგი, მეან-გინეკოლოგი), ქველმოქმედი, საზ. მოღვაწე. 1882 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1886 კი – კიევის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1888 დაინიშნა სოფ. ნაგომარში (გურია) ექიმად, 1900 – ოზურგეთის სამაზრო ექიმად. ერთხანს შორაპნისა და რაჭის სამაზრო ექიმაც იყო, შემდეგ კი, სიცოცხლის ბოლომდე, მუშაობდა ოზურგეთში. ე-მა, საკუთარ სახლში გახსნა პირველი ქირურგ. სტაციონარი. მისივე ინიციატივით ოზურგეთში გაიხსნა საქალაქო აფთიაქი და სკოლა, ჩოხატაურში – ბ-კა, ღარიბ მონაფეთა დასახმარებლად მართავდა წარმოდგენებს. საქართველოში ქოლერის ეპიდემიის წლებში (1892, 1908) ებრძოდა ეპიდემიას, უანგაროდ უვლიდა ავადმყოფებს, ზრუნავდა ხალხის სანიტ. დონის ამაღლებაზე. ეწეოდა სამეცნ. მოღვაწეობას. მისმა სამეცნ.-პოპულ. ნაშრომმა „ხოლერა და იმის თავიდან ასაცდენი დარიგებანი“ (1893, სენაკი) დადებითი შეფასება დაიმსახურა (ჟურნ. „მოამბე“, 1894, N1). წერილით „ორიოდე სიტყვა სოფლის მკურნალობაზე და მკურნალებზე“ („ივერია“, 1895, N33) ქართვ. ექიმთაგან ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა ექიმბაშობის წინააღმდეგ. ე-ის პირველი მოთხრობა „უბედური ქმარი“ დაიბეჭდა „ივერიაში“ (1887, N245), ხოლო მოთხრობების პირველი კრებ. „ნაქვთები“ 1891 გამოიცა ქუთაისში. ე-ის მოთხრობას „ვისი ბრალია?“ (ჟურნ. „მოამბე“, 1894, N6, 7; ცალკე წიგნად გამოიცა – 1911) პირველი გამოეხმაურა კ. აბაშიძე სტატიით „მოამბის მორალისტები“ („ივერია“, 1894, N193). ე-მა ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა რუს. კლასიკური პოეზია (ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ვ. ჟუკოვსკი, ა. პლეშჩევი, ა. ნეკრასოვი და სხვ.). აგრეთვე გადმოაქართულა რუს. რომანსები. ე-მა ერთ-ერთმა პირველმა სცადა ვოლტერის (ლექსი „მცირე დრო არის, რაც ვიხილე უცხო სიზმარი“), გი დე მოპასანის („იდილია“, „ივერია“, 1894, N137) თარგმნა. რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომის წლებში ე. ჯარში გაიწვიეს.

მსახურობდა ვერხნეუდინსკის სამხ. ლაზარეთის ქირურგ. განყ-ბის გამგედ. რუსეთის დამარცხების შემდეგ დემობილიზებული ე. სამშობლოში დაბრუნდა. 1907 გაზ. „ამირანში“ (N13) გამოაქვეყნა მოთხრობა „შავ-ბნელი ძაღვები“, რ-შიც ასახულია რუს. ცარიზმის მძვინვარე რეაქციის შედეგად აოხრებული და გაპარტახებული გურია. ე. 1915 ოზურგეთის ქალაქის თავად აირჩიეს.

თხზ.: მოთხრობები, თბ., 1965 (შემდგ. ვ. ნონელია).

ლიტ.: მ ე ძ ვ ე ლ ი ა კ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1975; ც ი ს კ ა რ ი ძ ე ვ., უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1972; წ უ ლ უ კ ი ძ ე ა., მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები, თბ., 1961.

ჟ. ქორჩილაკა

ვ. ნონელია
